დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109251777**
თარიღი:**26/06/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთები)

უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 12 ივნისის №108-108251638 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ სარგებლობის აღნაგობის ფორმით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას, ქ.დმანისში გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე საეპისკოპოსო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1034 კვ.მ. ს/კ 82.01.46.046 და 2599 კვ.მ. ს/კ 82.01.46.572 მიწის ნაკვეთები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი